

572/
1973/2

საქართველოს
საბავშვო ჟურნალი



ბოლოცვლით 8 აქსელს

საბავშვო

1973
აპრილი
N3

მეგობრულ გვერდებზე

თინათინ ჯიჯინაძე

ზამთარს ძალ-ღონე წვეროვს,
უნვს და ქარი ინატრს...
შხანუნს წვიმა გახშირდა,
ჭექა-ქუხილმა იმატა.

თეთრად იუღვს ტუქმლის ხე,მ,
უგულს მდინარე ადიდდა.
მზემ წითლად გამოანათა,
მზემ ღრუბლების ბადიდან...

გაზაფხული

გივი ჯიჯინაძე

ია, ია
ამოსულს! —
მღერის მზია,
ხარობს ზურა:
— რაო, რაო,
ციცქნა დაო?
— გაზაფხული
მობრძანდაო!



რითმობანა

მთარ შალაგბარძია




— აბა, მითხარ
„დედის“ რითმა?
— დედე-და,
ზთობარკუი
როდის წავალთ
ნეე-ტაე.
— აბა, მითხარ
„სახლის“ რითმა?
— სააა-ხლი.
სახლს დარაჯობს
კულქიციანა
ძააა-ლიო.
— აბა, მითხარ
„მთვარის“ რითმა?
— მთვაა-რე,
წუხელ წგრილი
ვარსკვლავები
ვთვააა-ლე.
— აბა, მითხარ
უთოს რითმა?
— უუუ-თო,
თუკი აღარ
მომეშეგები,
უნდა
გაგე-
ბუუ-ტო!

დედის გამხარებლები

გიორგი ნაკთული

დედა გვიყვარს,
დედა გვიყვარს
ვეფერებით,
ვეხუტებით,
დათომ ოთხით გაახარა,
მე—ხუთებით.

ნახატები გიორგი როინიძევილისა



მთვარეანი ღამის ჯღაპარი

ბიორკი პაპაშვილი ნახატები თენგიზ სამსონაძისა

— წივ, წივ!.. გაგვიშვი გარეთ, გათენდა!..—
აუციუცივდნენ წიწილები, სავეს მთვარემ რომ სა-
ბუღარს მიანათა:

— კრუხ, კრუხ!..— ჯერ შუალამეა, დაიძინეთ!..

— წივ, წივ!.. მზე ამოვიდა და მინც არ
გვიშვებ?!
— კრუხ, კრუხ!.. მზე კი არა, მთვარეა, შვი-
ლებო. ჯერ კიდევ შორს არის გათენებამდე.—
ნამძინარევი, ჩახლერილი ხმით კუტკუტებდა ნა-
ცარა კრუხი და საბუღარში ტრიალებდა, არავინ
გამეპაროლა.

— გაგვიშვი, ყველაფერს დღესავითა ვხედავთ.
მოგვიდა კიდევც,—აწივწივდა ყველტრეველა წი-
წილა, თავის და-ძმებთან რომ სულ მუდამ იმით
ამაყობდა,—მე როცა გამოვიჩეკე, თქვენ ისევ
კვერცხში წივდითო.



ერთი კვირის წინ გამოიჩეკენ წიწილები. მა-
შინ ჯერ ახალი, ნამგალი მთვარე იყო, მერე
თანდათან გაივსა მთვარე. ახლა ცაზე რომ აიწია
და პირდაპირ საბუღარს მიანათა, წიწილებს ეგო-
ნათ, გათენდაო.

— დაწწნარდით, შვილებო, დავიძინოთ. გათენ-
ებდა და გაგვიშვებთ.

— წივ, წივ!.. გათენებულა და მინც არ
გვიშვებს,—გადაუწივწივა ყველტრეველამ თავის
და-ძმებს და უფრო გათამამდა:—გამიშვი, თორემ
გავიქცევო.

ყველტრეველამ იმდენი ქნა, დედის ფრთებს
დაუხსლტა, გოდრიდან გადმოხტა და ბოსტნისაკენ
გაიქცა.

ყველტრეველას გადახტომა იყო და ერთი აღი-
ქოთი დატრიალდა: წიწილები გასაქცევად აუცი-
უცივდნენ. გაბრაზებული კრუხი კი საშინლად
აიფხორა და მკაცრად დატუქსა შვილები:

— კრუხ, კრუხ!.. ეს რა სისაძაგლეა!.. როგორ
მიბედავთ ასეთ თავხედობას!.. ამ ხნის ქათამი
ვარ, ხუთი-ექვსი ბუღობა წიწილა დამიზრდია და
ასეთი ჯიუტი შვილების მნახველი არა ვარ...



ჩემი გაზრდილი ბოგერითი ქათამი ახლა უკვე კრუხობს და წიწილების ღედაა. თქვენსავით სულელები რომ ყოფილიყვნენ, ღედეები როგორ გახდებოდნენ?!

— წიგ, წიგ!.. ამოვბტი და მივრბივარ... ამოვბტი და მივრბივარ!..—წიწინებდა გახარებული ყველიტყველა და ღობიხს ბარდებისაკენ გაბრძოდა.

ღობიხს ბარდებში რალაც შეტოკდა. ყველიტყველას გული აუფანქვადდა. მაგრამ ნირი არ წაიხდინა. ძაღ-ლონე მოიკრიბა და ჩააშტერდა: გომბეშო გადმოხტა.

— ვინა ხარ და რა სულიერი?—ჰკითხა გომბეშომ.

— წიწილა ვარ, ნაცარას შვილი, ყველიტყველას მეძახიან.



— თუ მართლა ნაცარას შვილი ხარ, ახლა მუდარში უნდა გვიძინოს!

წიწილამ ყურიც არ ათხოვა, მხარი უქცია და კარტოფილის ნათესებისაკენ წარაცრაცდა. საოცარია: თან ხედავს და თან ვერ ხედავს. გზას კი მიიკვდევს, მაგრამ ჭიალუებსა და ნამცეცებს ვერსად ამჩნევს. იქნებ მართლა ლამეა და ამას კი შუაღლე ჰგონია.

რალაც გაფაჩუნდა,—ზღარბი მოზობლავდა.

— ესეც ჩემი საკბილი!..—ჩაილიღინა ზღარბმა და ეკლები აუშვა:

— აბა, აქეთ! დამენახე, ერთი გემრიელად შეგახარამუნო!

— ნაცარას შვილი ვარ, კბილი არ მახლა, თორემ...

— თუ მართლა ნაცარას შვილი ხარ, ამ შუალამისას აქ როგორ გამოვიშვებ?



— შუალამე კი არა, შუაღლეა. ვერა ხედავ, რამოღენა მზე აცხუნებს.

— ეგ ხომ მთვარეა, შე ბრიყვო, შენა!..

— ბრიყვიც ხარ და მეტიც!—მიახალა გათამამებულმა წიწილამ და ხახვის კვებისაკენ გაიქცა:—ვეტყვი დედაჩემს და მაგ ეკლებს სათითაოდ დაგაძრობს.

სანამ წიწილა ხახვის კვებთან მიიბრუნდა, მთვარეს ღრუბელი გადაეფარა და მაღლა აწეული ფეხი გაუშეშდა: აღარ იცოდა, ფეხი სად დაეგება.

— წიგ, წიგ!.. ვამიშ. დღამდა და რა მეშველებათ?

ამ დროს თავზე რალაც გადაახტა და ყირამაღა გადაატარა. ეს გომბეშომ იყო. წაქცეულმა წამოდგომა ველარ მოახენხა და საცოლავად აწრიბინდა:

— წიგ, წიგ!.. მიშველეთ!.. წიგ, წიგ... მიშველეთ!..

— კრუ, კრუს!..— შორიდან მოესმა დედის კვნესა, მაგრამ დედაც ვერ მიეშველებოდა იმ სიბნელეში.

ბედად ბებო გამოვიდა აივანზე, წიწრილის წიწრილი რომ გაივლო, მაშინვე ბალნაში ჩაირბინა. კარგა ხანს ეყვება, როგორც იყო, იპოვა გულგახეთქილი წიწრილა და კრუსს საბუღარში ჩაუსვა.

— კრუს, კრუს!.. კიდევ არა გჯერა, რომ არ გათენებულა?!

— წიგ, წიგ!.. მჯერა, დედილო, და არასდროს აღარ გაგვეტყვიო...

მეორე საღამოს კრუსმა გოდორში კი არა, გოდრის იქით, კიბის ქვეშ დაიბუდა, სადაც მთვარის შუქი ვერ სწვდებოდა.

— ეს კრუსი რამ გადარია?— უკვირდა ბებოს, — აქ მშვენიერი გოდრის საბუღარი აქვს და იქ კიდევ კუთხეში დაუბუდნია. მაშ ეს კუთხე გოდორსა სჯობია?

კრუსმა უკეთ არ იცის სადაც სჯობია?!



ნახატი ვაჟა ლათიბაშვილისა

ჩიტუნა და ბიჭუნა

შალვა შუბლაძე

სად იყო და
სად არ იყო,
კატა ხეზე ამძვარალიყო,
ერთი ბეწო ჩიტის გამო
„სიყვარულით“ დამდნარიყო.
ნელა-ნელა შიცოცავდა,
ჩიტი მშვიდად დამჯდარიყო.
რა იცოდა მისი ხორციით
ფისო უნდა დამტკბარიყო.
სად იყო და
სად არ იყო,
ბიჭი ხის ქვეშ გამჩდარიყო;
უცებ ხელი აეჭნია,
ჩიტი სადღაც გამჭრალიყო.





გულადი ბაჭიას ლექსი

გაიიულ ჟანგიაი

ნახტი მახანბ ქახაშვილი

არიგებდა შვილს კურდღელი:

— შიერადე ღომის ხახს!

ბაჭია კი კისკისებდა:

— ღომის ხახს? ხა-ხახა-ხა!

— რას იცინი, შე ღუთის კლას!

რა გგანია ღომის ხახს!

— ღომის ხახს? ხა-ხა-ხა-ხა!

ხი-ხი-ხი-ხი!

ხა-ხა-ხა-ხა!

— ღომის წერს თუ არ გასდგე,

აგერ ნახაჟ! აგერ ნახაჟ!

— რაო, რა თქვი? ღომის ხა-ხა?

ხი-ხი-ხი-ხი!

ხა-ხა-ხა-ხა!

— შე სუფელი! შე რეკენია!

შე უჭვო! შე ტრახახა!

არა, მართლა, შე ცერცერო,

რა გგანია ღომის ხახს!

— ღომის ხახს? ხა-ხა-ხა-ხა!

ხი-ხი-ხი-ხი!

ხა-ხა-ხა-ხა!

— შეუღ ქვეყანას ეშინია

ღომისა და მისი ხახის!

ერთი კარგად ჩაეკნორე,

იქნებოდა შენზე ხა!

— ჩაეკნორე? ღომის ხახს?

ხი-ხი-ხი-ხი!

ხა-ხა-ხა-ხა!..

მოჯირითა კუ

მარგო თომაძე

ნახატი თინათი ხსონდისი

კუ რიყეზე გამოხობდა. მიიხედ-მოიხედა, ხომ არავენი მიყურებსო და რაც ძალა და ღონე ჰქონდა, გაიქცა და გამოიქცა. უჭირდა, გახურებულ ქვიშაზე ფეხები ეწვოდა; თავპირზე სულ ხვითქი გადასდიოდა, მაგრამ თავს ძალას ატანდა.

იქვე ახლოს, ერთი დახავსებული ქვის ქვეშ ხელიკს ეძინა. ხმაურზე თვალი ჰქიტა და ზევით ამოძვრა. უყურა, უყურა კუს და ბოლოს ჰქითხა:

— კუ ბაკიბაკანო, რა დაგემართა, ბუზან-კალმა ხომ არ გიკბინაო?

— დღეიდან ვარჯიშს ვიწყებ, უნდა ნა-

ბიჯს ავუჩქაროო,— და ისევ განაგრძო წინ და უკან სირბილი.

— ეხ, ბაკიბაკანო, მაგასაც თუ სირბილი ჰქიაო!— ჩაიჭირქილა ხელიკმა.

კუს ეწყინა და ხელიკს დაუტატანა:

— ყველა ზარმაცს, უქნარასა და მაჩანჩალას ასე ეუბნებიან: რა კუსავით მიჩოჩავო.— რას იცინი, რომ იცინი, ერთი ორი ნაბიჯიც რომ წინ წავდგა, ისიც კარგია, უქნარებისა და მაჩანჩალების გვერდით მაინც აღარ მახსენებენო.— მერე ძალ-ღონე მოიკრიბა და ისევ ვარჯიშს შეუდგა.



ჭორი და ჩახი

ნაზი კილასონია

მოდის ძმობილ-დობილი
ხელეგდალაქდობილი;
მარცხნივ ქორად ხმობილი,
მარჯვნივ ჩმახად წყობილი,
ქორი ცოტა ყრუა,
ჩმახი ცოტა ბლუა
და ორივე ცრუა.

ქორს წაცლია ყურები
მეზობლების ყურებით;
ჩმახს გაცლია უღვაში
ჩმახაჩმუხზე ზრუნვაში.

ქორმა გზაზე გამაჩერა,
ჩმახი მიცქერს ალმაცერად,
ქორმა მითხრა:—გაიგეთ?
ჩმახი ხუთებს არიგებს!
ბარე ერთი ათაი
აქ უყრია ჩანთაში.

დედებს, მამებს, ბებიებს,
ყველას შეატყობინეთ:
რად გიშვებენ სკოლაში,—
დრო ატარეთ ქროლვაში.
სწავლა, ჩემო ყმაწვილო,
ალარ არის საჭირო.
— ში, ში,—ბრძანა ჩმახმა,—
სწავლით კაცი გახმა.
თვით უბრძენეს ბაბუებს
სწავლა აყრუე-ბარუებთ.
ქორმა მითხრა ჩურჩულით:
სკოლაში ზის ურჩხული,—
ერთი თუ ქნა—ულაპუ,
შენი ბებო ფაფუ...
— ში, ში—ამბობს ჩმახი,—
ახი არის, ახი.
რად გადაღებს სწავლას?
რაგომ გიშლის გავლას?



მკვეშარა

ლავით ხარკია

ჩვენს მკვეშარა ზურას
აქვს ტოლებთან ომი:
— გინდათ, დაგიხატოთ.
დიდი, დიდი ლომი?!—

ფერადებსაც ხმარობს,
ფუნჯსაც უსვამს მარდად,
დაიღალა ბიჭი,
ხატავს, ხატავს, ხატავს,—
დიდი ლომის ნაცვლად
დაუხატავს კატა.



კორმა თვალი ჩამიკრა:
თავს უშველდე, არიქა!
მოდის მასწავლებელი,
ხელში დიდი ჯოხითა,
სიტყვითა და კოხითა!..

ჩმახმა ბრძანა:—დაო,
აბა, რაზე ვდაობთ?!—
მერხცა და დაფაც
ორიგ გაუქმდაო.
პარასკევი, შაბათი,—
კვირაა და შაბაში,
სხვა დანარჩენ შაბათებს
მივა—ხუთშა—შაბათებთ.

მე ვუთხარი:—მომცილდით,
თქვენთვის არ ვარ მოცლილი;
არ ჩამიხტეთ ჩანთაში,
შუბნები მაქვს ხალთაში.
არ ჩამიძვრეთ ჯიბეში,
თორემ ჩაგსვამთ ციხეში.

შუბი ვტყორცნე ორი,
ვადაბრუნდა კორი,
ქვაც დავარტყი—ბახი,
ზედ დაწვა ჩმახი.
წაეკიდნენ ერთმანეთს,
სასიკვდილოდ თეთქვავენ:

— ქალბატონო კორო,
მგონი ცოტა ღორობთ.
— თქვენ, ბატონო ჩმახო,
ხელი არხად მახლოთ,
პატრონი მყავს ქვეყნის,
მთელ ქვეყანას შევყრი!
წაეკიდნენ ერთმანეთს
დღესაც მაგრად თეთქვავენ.
მე კი მივალ ლილინით,
ჩემი სკოლა მილიმის.
განა მართლა ვწვადლობ?
სულ რაკრაკით ვსწავლობ!
აი ია, იაო,
კარგი ბიჭი მქვიაო!

ფოხალი ბიჭი

გიორგი მარგველი

გამიკეთა პაპამ ბარი,
სამუშაოდ მივიჩქარი.
მე დავბარავ, შენ კი დალი
მომიტანე ცივი წყალი.



ზღაპარიყო, ზღაპარიყო...

პარლმ გაბაშაძე

ნახატები თამარ ჩინჩინაშვილისა



ბიჭი მალე წამოიზარდა. ძალიან შეებრაღა კეთილი მოხუცები და სოფლის ჭირ-ვარამზე იწყო ფიქრი. ერთმა მოხუცმა წიგნი მისცა:

—წაიკითხე, შვილო, ყველაფერს ისწავლი და გაიგებო.

ბიჭი ოთახში ჩაიკეტა. ცხრა დღე და ღამე უსმელ-უტყმელი იჯდა და ცოდნის წყაროს ჩაპ-კირკიტებდა.

გაიგო, რომ დეღამიწა მრგვალი იყო. გაიგო, რომ მზე აღმოსავლეთიდან ამოდებოდა და დასავლეთით ჩადებოდა... ისიც გაიგო, რომ თუ მიწას წყლით გაუღვინებ, თესლი გაღვივდებოდა და სოფელი წალკოვად იქცებოდა.

ერთ დღეს საყვარელ მოხუცებს გამოეთხოვა და მდინარის საძებნელად გაუდგა გზას. გულ-დაწყვეტილმა მოხუცებმა კვლავ გააჩაღეს ჩიბუხები და სხვა რაღა დარჩენილათ,—ძველებურად მოჰყენენ პლაკუნს.

ბიჭმა ცოცა იარა თუ ბევრი იარა, ტრიალ მინდორს მიაღწა.


ხედავს,—ერთი თავაწყვეტილი თვითმცლელი, ავტომაწქანა გრიალით აწყდებდა ხან ერთ ხევს და ხან—მეორეს.

— ჰეჰეი!—შესძახა ბიჭმა.

იყო და არა იყო რა, იყო თურმე ერთი ხრიო-კი სოფელი. მიწა დეღაბრის მჭადივით დაბრტყა-ლულიყო. ღელეები და წყაროები დამშრალიყო. ათასში ერთხელ ზეცა ნამს თუ გაიმეტებდა, სოფლები პეშვებით მოაგროვებდნენ და წყურვილს იკლავდნენ.

სოფელში თეთრწვერა მოხუცები ცხოვრობდნენ, მიწასავით გამოამშრალ-გამოფიტულები. ახალგაზრდები წამოიზრდებოდნენ თუ არა, გუ-დანაბადს აიკრებდნენ და ბედის სამებნელად გადაიხვეწებოდნენ. კარ-შიდამოს დაბერებულ-დაჩაჩანაკებულები უბრუნდებოდნენ. ისხდნენ, ჩიბუხებს აბოლებდნენ და გამუდმებით ასველებდნენ.

ერთხელ სოფელს პატარა ბიჭი მოველინა მოხუცებმა ბიჭის დანახვავე გაიხარეს. ჩიბუხების პლაკუნს შეეშვნენ და ბიჭის მოვლა-პატრონობაში ათენ-ალამებდნენ. ვის პეშვით მოჰქონდა ცის ნამი, ზოგიც ხელის გულზე უწვავდა ერბო-კვერცხს.



თვითმცლელმა დაამუხრუჭა და ბიჭს შეაჩერა.

— აქ რას დაჰქირ ტყუილდებოდა!

თვითმცლელმა სიჩქარე ჩართო და გაქცევა დააპირა. ბიჭმა დაასწრო, კაბინაში შეხტა და მოტორი გამორთო. (მას ხომ წიფნი ჰქონდა წა-კითხული, ჰოდა, მანქანის მართვაც იცოდა).

— ოღონდ ნუ დამადუმებ, წყეული უანგის ლუქმას ნუ გამხდი და როგორც გინდა, მიმსახურეო.— შეევედრა თვითმცლელი.

— კარგო. უთხრა ბიჭმა და საკეს მიუჯდა. სულ გრიალ-გრიალით მიჰქროდნენ. თვით-მცლელი თავის თავგადასავალს მოუყვა:



„ერთი უქნარა პატრონი მყავდა, თვეობით უსაქმოდ ვიდექი და მოტორში ზეთი მიწრებო-და. ერთ საღამოს პატრონი დათვრა, მოტორი ჩართული დარჩა, დრო ვიხელთე და გამოვიპა-რეო“.

ბევრი იარეს თუ ცოტა იარეს, გზაზე ბულ-დოზერი შემოეყარათ. ბულდოზერი ხვწეშითა და ქოთქოთით აწვევბოდა მიწას, კრიდა და ასწორებდა.

— ჰეჰეი!— შესძახა ბიჭმა.— აქ რას აკეთებო? ბულდოზერმა დანა ასწია და გამოხედა. ბიჭი და თვითმცლელი რომ დინახა, გამოქანდა,— მი-წასთან გაგასწორებთო. ბიჭი არ დაიბნა, კაბინა-ში შეხტა და მოტორი გამოთიშა.

ხმაჩაწყვეტილი ბულდოზერი ბიჭს შეევედრა:

— „ჩამირთე ისევ მოტორი, ჯართად ნუ მაქ-ცევ და როგორც გინდა, ისე მიმსახურეო.“



— კარგო, — უთხრა ბიჭმა და მოტორი ჩართო. გზას გაუდგნენ. ახლა სულ გრიალ-ხარხარით მიდიოდნენ. ბევრი იარეს თუ ცოტა იარეს, ექსკავატორს წაადგნენ თავს. ექსკავატორი ერთ ბორცვს მისდგომოდა, მიწას გულდაჯერებით ხაპავდა და გვერდზე ჰყრიდა. თვითმცლელმა ეს რომ დაინახა, ზურგი აეჭავა: „ნეტა მიწას ჩემს ძარაში ჩაჰყრიდესო.“ ბულდოზერმაც ინატრა: „რომ მიმიშვან, იმ დაწვავებულ მიწას ხელის-გულივით მოვასწრებო!“

ექსკავატორს მათთვის ყურადღება არც მიუქცევია.

— რა ღონიერი ხარო. — უთხრა ბიჭმა.

— ღონიერი მე კი არა, შენა ხარ თვითმცლელი და ბულდოზერი დაგიმორჩილებია. თქვენთან მამყოფა, აი, მაშინ ნახავდი, როგორც ვიმუშავებდითო.

— მოდი, დავმეგობრდეთ, სულ ჩვენთან იყავიო.

ექსკავატორს ისე გაეხარდა, კინაღამ ჩამჩა არ მიაშტვრია ლოდზე.

ბევრი იარეს, თუ ცოტა იარეს, ცხრა მთა გადაიარეს. გზაზე ერთი მდინარე გამოჩნდა. ბიჭს ძალიან გაეხარდა:

— ოჰო, ესეც ბედზე შემოგხვდაო, — თქვა და ცოტა ხანს ჩაფიქრდა. ყველაფერი ასწონდა-სწონდა, საით უნდა გაეთხარათ არხი, როგორ უნდა აევოთ კახალი...

ამ დროს ხმაურზე დასახმარებლად მოვიდნენ: ამწე, სკეპერი, მტკეპნელი, ბურლი, ელექტროხეხი, ნაჯახი, ჩაქუჩი...

— გავიგეთ დიდ საქმეს შექვიდებიხართ და იქნებ გამოვადგეთო.

ბიჭუნამ ყველას შესაფერისი საქმე გამოუძებნა.

ექსკავატორი მიწას კრიდა და თვითმცლელს ტვირთავდა. თვითმცლელს მიწა მიჰქონდა და მდინარის კალაპოტში ჰყრიდა. მტკეპნელი მიწას ტკეპნიდა და კაშხალს აგებდა. ბულდოზერს და სკრეპერს არხი გაჰყავდათ. ბურლი ბურღავდა, ხერხი — ხერხავდა, ნაჯახი ციბრუტივით ტრიალებდა, ჩაქუჩი კი გამუდმებით უკაკუნებდა...

არხი დღითიდღე ვრძელდებოდა, მალე სოფელს მიაღწა. მოხუცებმა თვალები დააჭყიტეს, ვერ მიხვდნენ, რა ხდებოდა. მაგრამ ჩიბუხები წყლით რომ აევსოთ, იკადრეს და ფეხზე წამოცვიდნენ. გახარებულები ბიჭს გადაეხვიდნენ და გამარჯვება მიულოცეს. მერე ჩიბუხები გადაყარეს, წყალში კამერბივით ჩაწვენენ და გაგრილდნენ.

მიწა გაიჟლინა წყლით. მოხუცები თანდათან გაახალგაზრდავდნენ. ყამირები მოხნეს, ვაზი ჩაყარეს, დარგეს ხეხილი.

სოფელში სიხარული და ბედნიერება ერთად მოვიდა.

ახლა სოფელში მოხუცებს ყურძენი მოჰყავთ და ლალისფერ ღვინოს აყენებენ. ლხინი ისე არ ჩაივლის, იმ ბიჭის სადღეგრძელო არ შესვან.



ნენიკელა

შაჰრო სამალაშვილი

ვისაც ჯერ არ გაუგია —
ამას შეტუვი უკვლას, უკვლას:
ნონა მქვია, ნონა მქვია,
რად შეძახით ნონიკულას?

— ჰეტარას! — ნეტავ კვლავაც
ჩემსე ალარ გაძაგონა.
ღამინასხუთ როგორ წაგებლ
წელს სკოლაში „დიდი“ ნონა!



თამუნია, თამუნი

თენიო პაპუაშვილი

თამუნია, თამუნის
თოჯინა ჰყავს ნანული,
ვერც თამაში ასწავლა,
ვერც კანფეტის სრამუნნი.

ნახატი ლეონიდა პრისტავისა





მეზღაპრის საჩუქარი

ნინო გაზარაშვილი

ნახატები ზარაზ მამაგიაშვილისა

ერთ გოგონას ვიცნობდი. ლამაზაიენიან სახლში ცხოვრობდა. გოგონას ძალიან უყვარდა თავისი ლამაზი, ჩუქურთმებიანი აივანი. ჯერ ერთი—ეს აივანი მისი პაპის აშენებული იყო. მეორეც, ამ აივნიდან მოჩანდა დიდი ლილისფერი მთები, მწვანედ მობიბინე მინდვრები და მუდამ მოშრიალე მალალი ვერხვები.

გოგონა უყურებდა მთებს, ყურს უდებდა ვერხვებს და ეგონა, რომ ვერხვის ფოთლები ერთმანეთს ესაუბრებოდნენ, ფიქრსა და დარდს უზიარებდნენ, იმიტომ გაჰქონდათ ისეთი შრიალი.

ზამთრის ღამეებზე უყვარდა გოგონას. ბუხარში თავითავე მიდებულ დიდი მუხის კუნძები რომ ღულუნუნებდნენ, დაბალ სკამზე წამოსკუბდებოდა ხოლმე და ნადევრდლებს უფიცებდა პატარა ფერმკრთალ ხელებს. მაშინ პაპაც იქ იჯდა, ბებიაც.

ბებია ქსოვდა, პაპა ცეცხლს უშტერებდა თვალს, ომში დაკარგულ ვაჟიშვილებზე ფიქრობდა და ოხრავდა. გარეთ კი ციოდა. ციოდა ძალიან, ყველაფერი გაკრინჩხული იყო. სუსხიანი ქარი დაჰქროდა, საღლაც მიკიოტი კიოდა...

— უ, უ, უ...

— პაპა, ეს რა ჰკვივის?—ეკითხებოდა გოგონა.

— მიკოტია ვგ ოხრად დასარჩენი, ხეზე ზის და კვივის.—დაიბუზუნებდა პაპა,— თოფი მაინც ესროლონ და ჩამოაგდონ.

— რათა, პაპა, რად უნდა ჩამოაგდონ?

— არ ვარჯა, რომ კვივის.

— რატომ არ ვარჯა, პაპა?

— რა ვიცი, შვილო, ვგრე იტყვიან ხოლმე...

— იქნებ შესცივდა, პაპა და იმიტომ კვივის?

— იმიტომ კვივის, იმიტომ, ვერა ხედავ, სიცივე ქვას ხეთქავს!

— მგონი ქარიც ამოვარდა,—ლაპარაკში ჩაერგოდა ბებია.

— ჰო, ქარია, თოვლს ებრძვის,—ამბობდა პაპა,—ახალი წლისათვის თოვლი მოვა.

მართლაც მოდიოდა თოვლი ახალ წელიწადს. პაპა უფრო მეტად აგიზგიზებდა ბუხარს. შუალამისას კი თავისი თავკაუჭა ჯოხით შეუჩიხინებდა ცეცხლს. უცბად ალი თითქოს ჩაქრებოდა, სამაგიეროდ უთვალავ-უზომელი ნაპერწკლების კორიანტელი ავარდებოდა.

— ამდენი ძროხა, ამდენი ცხვარი, ამდენი პური, ამდენი ღვინო!—ყოველ შეჩიხინებაზე ბუზუნებდა პაპა.

— რად გინდა, პაპა, სად უნდა დაამწყვდიო ამდენი ძროხა და ცხვარი?—ეკითხებოდა გოცებული გოგონა.

— მე რა შავ ქვად მინდა შვილო, ამდენი რამე, რაცა მაქვს ისიც მეყოფა.

ქვეყანას, ღუნისას, ცოტა ხალხია?! როცა ყველას ექნება, ჩვენც კარგად ვიქნებით!

ეს წინათ იყო, ძალიან წინათ. ახლა ბუხართან გოგონა და ბებია ზის. ბებია ისევ ქსოვს. სიჩუმეა სახლში. აღარ ედება ცეცხლი მუხის მუგუზლებს, აღარ ღულუნებს მსხვილ-მსხვილი ნაღვერდლები. წვრილი შეშები შეუკეთებიათ ბუხარში და ხანდახან თუ აბუტდებდა პატარა ალი, ხრჩოლავს და გულისგამაწერილებლად შიშინებს სველი წკირბები.

— არა გშია, შემოგველე, შეჭამე რამე!— ეუბნება ბებია გოგონას.

— არა მშია, ბებო, დავწვეთ.

ბებია მაინც აკმევს ცოტა რამეს. მერე ლოგინს გაშლის და წვებიან.

ესეც წინათ იყო. მერე სულ მარტო ცხოვრობდა გოგონა. ბუხარი აღარ ენთო, სახლში სიჩუმე და სიცივე ჩამომდგარიყო.

სცილოდა გოგონას, ძალიან სციოდა, სადაც იყო გაიფიჩხებოდა, მაგრამ აი, ერთხელ კარი გაიღო და ოთახში გოგონაზე ბევრად პატარა ბავშვები შემოვიდნენ. ორი გოგო იყო, ერთი ბიჭი. ერთ გოგოს ასანთი ეჭირა ხელ-



ში. მეორეს ხმელი ფიჩხის კეწეწები მიეკრა გულზე გათოშილი ხელით. ბიქს კი კარვა ბლომა შეშა ამოვლითავებინა.

ბუხარში კეწეწები დაყარეს, შეშები მიუწყვეს და ასანთი წაუკიდეს. ჯერ პატარა ალი ავარდა, მერე მთლიანად აგიზგიზდა და ცეცხლის შუქმა გაანათა იქაურობა.

გავიდა ზამთარი. დაღვა ვაზაფხული. გოგონას შემოვლია ბებიას მონაგრებული სარჩო-საბადებელი და მოვიდა.

გოგონა შიმშილისაგან ისე დასუსტებულიყო, თურმე საწოლიდან ადგომა აღარ შეეძლო, მაგრამ აი, ერთხელ კიდევ შემოაღეს კარი და ისევ ის პატარები მოვიდნენ.

ბიქს ახლა შეშის მთელი გულურა მოჰქონდა. ერთ გოგოს კინჭრით გატენილი ბოლჩა ეჭირა, მეორეს კი კაბის კალთა იხვის კვერცხებით ჰქონდა სავსე.

— აი, რამდენია! იხვებმა დადეს წყალში და წამოვიდეთ!—სხაპასხუთით ამბობდა პატარა და გოგონას თითო-თითოს აწვდიდა.

გოგონამ სული მოითქვა. კინჭარმა და კვერცხებმა ძალა შემატეს. მერე თვითონაც ჰკრეფდა კინჭარს და მხალს.

გაიზარა გოგონა, დაქალდა. შრომობდა თავის ხელით აკეთებდა ყველაფერს. აღარც სკოლა და აღარც საქმელ-სასმელი აკლდა. მაგრამ წარსული არ ავიწყდებოდა. ფიქრობდა და ფიქრობდა იმ პატარა ბავშვებზე, სიცივეში რომ გაათბეს და მშვიერი დააპურეს.


რაც დრო გადიოდა, გოგონა გრძნობდა, რომ იმ ბავშვების გულკეთილობამ ყველა ბავშვი შეაყვარა და რომელ ბავშვსაც დაინახავდა, უნდოდა ყველასთვის რამე მიეძღვნა საჩუქრად, მაგრამ არ იცოდა, რა მიეძღვნა.

ფიქრა გოგონამ, ფიქრა და ვერაფერი ვერ მოიფიქრა. ბოლოს გადაწყვიტა, რაც თავს გადახდა, დაეწერა და ხანდახან წაეკითხა, რომ იმ პატარა ბავშვების გულკეთილობა არ დავიწყებოდა. დაწერა ერთი ფურცელი, დაწერა მეორე, დაწერა მესამე, მერე წაიკითხა, წაიკითხა და რას ხედავს!—ზღაპრები არ გამოსულა!


ზღაპრები ხომ ყველაზე ძალიან უყვართ პატარებს, ჰოდა, ის ზღაპრები, წიგნად აკინძა და ყველა ბავშვს გაუგზავნა საჩუქრად.

აბა, გაისვენეთ, იქნებ თქვენც წაგიკითხავთ ის ზღაპრები.





თავსაგახი



შეაგვით ცარიელი უჯრედები სა-
ქართველოს მდინარეების სახელებით
ისე, რომ ზემოდან ქვემოთ, წითელ
უჯრედებში ჩაიწეროს მსოფლიო ჩემ-
პიონის გვარი—ქალთა შორის კედ-
რაკში.

შეადინეს სიღნაღის რაიონის, სოფ. ძეგლი
ანაგის საშ. სკოლის მოსწავლეებმა—მანანა
და მანოლი შავლიაშვილებმა.



შთავარი რედაქტორი მუხრან მანუშკაძე

სარედაქციო კოლეგია: კაპარი გომიჯიშვილი, ლეილა მრამბ, ჯემალ ლოლაშა, ზურაბ ლომიძე, ბავაშა
მრმველიშვილი, იორამ ძამბარაძე (პ/მგ მღვანე), შალვა მსახლამ (სამხ. რედაქტორი), გიმი ძანლაძე
საქ. აღმც ცე-ისა და გ. ა. ლენინის სახელობის პიონერთა ორგანიზაციის რესპუბლიკური საბჭოს უფროსი.
ქალბ. ნახატი რაბაზ ცუპირიძისა გამოცემის 15-ე წელი.

ტექნიკური ზ. რიშინიშვილი

მისამართი: რედაქციის, გამომცემლობის, სტამბის—თბილისი, ლენინის, 14. ტელ.: ში. რედაქტორის—93-41-30, 93-98-15;
პ/მგ მღვანის—93-10-32, 93-98-17; სამხ. რედაქტორის—93-98-18; განყოფ.—93-98-19; სამღვანისი—93-98-16.

გაზეთი ასაწეობად 31/1-79 წ., ხელმოწერილია დასაბეჭდელ 23/11-73 წ., კვადრატის ზომა 60×90^{1/16}
ფილ. ნაბ. ფურც. 2წ, ტირაჟი 150.700. შეჯ. № 335. „დღე“ № 3. на грузинском языке. ფასი 20 კპ.



76055

ერეკლე
ბერიძის
ხელოვნების
სამუშაოთა
სამართალის
სამსახური

„გემი“—ნახ. ავთანდილ გოგებერძინაძე, 7 წ. თბილისი.

„ცხენსანი“—ნახ. ზურაბ ნინოშვილი, 7 წ. თბილისი.



„შინკვიდრა“—ნახ. ნინო ბახილაიაძე, 9 წ. ფილიპოვსკი.
 „უცხოედეზი“—ნახ. ნინო აგუაფიანიძე, 8 წ. თბილისი.
 „გოგონა“—ნახ. ნინო ხშიაფიანიძე, 6 წ. თბილისი.
 „პარკინგის ხატუკარი“—ნახ. დედოფანაძე, 7 წ. თბილისი.



„თეთრეუმი“—ნახ. გიგა სტურუასი, 4 წ. თბილისი.